# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 397

„30" ოქტომბერი 2015 წ

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდი დიღმის II მიკრორაიონიდან ზემოთ მიმავალი გზის მარჯვენივ ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.08.006.035) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ო" ქვეპუნქტის, ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" 25-ე, 26-ე მუხლების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2015 წლის 20 აგვისტოს №38 ოქმის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 8 ოქტომბრის №04/18268 წერილის (AR1334616) შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდი დიღმის II მიკრორაიონიდან ზემოთ მიმავალი გზის მარჯვენივ ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.08.006.035) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული AR1334616 განაცხადის შესაბამისად (იხ. თანდართული უფლებრივი ზონირების რუკა).

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი








არქიტექტურული ნაწილი

1:500

12 | 1